

ლაგოდების მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს 2022 წლის ანგარიში

2022 წლის 28 თებერვალს განახლდა გენდერული თანასწორობის შემადგენლობა.

2022 წელს სულ ჩატარდა 4 სხდომა.

2022 წელს, გენდერული თანასწორობის საბჭოს მიერ, გაეროს ქალთა ორგანიზაციის ექსპერტის დახმარებით შემუშავებული იქნა 2023-2025 სამოქმედო სტრატეგიული გეგმა, რომელიც მთლიანად მუნიციპალიტეტის სიტუაციური ანალიზის საფუძველზე მომზადდა. სამოქმედო გეგმა მოიცავს 4 ძირითად სფეროს:

1. ქალთა მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში.
2. ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობა.
3. ქალთა ეკონომიკური გაძლიერება.
4. თანამშრომლობა და კოორდინაცია.

დოკუმენტზე მუშაობა გრძელდებოდა თითქმის მთელი წლის განმავლობაში, შესაბამისად გენდერული თანასწორობის საბჭოს მიერ განხორციელებული აქტივობები მუნიციპალიტეტის მასშტაბით შედეგებით ნაკლები იყო.

გენდერული საბჭოს წევრებმა მონაწილეობა მიიღეს სხვადასხვა ტრენინგ-კურსებში გენდერული მეინსტრიმინგის შესახებ. მონაწილეობა მივიღეთ კახეთის გენდერული თანასწორობის საბჭოების ფორუმში. წევრები აქტიურად იყვნენ ჩართულნი მუნიციპალიტეტის 2023 ბიუჯეტის დაგეგმვასა და განხილვაში.

გენდერული თანასწორობის საბჭოს ბიუჯეტიდან დაფინანსდა მოწყვლადი კატეგორიის ქალებისათვის ინგლისური ენის სწავლების მოკლევადიანი კურსები.

ძალადობის წინააღმდეგ მიმართული 2 კვირიანი კამპანიის ფარგლებში გაკეთდა განცხადება, ჩატარდა სხდომა, მომზადდა ვიდეო რგოლი გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრების მონაწილეობით და გავრცელდა სოციალურ ქსელში.

გენდერული თანასწორობის საბჭოს თავჯდომარე

შორენა ხაჩიაშვილი